დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება

განკარგულება:**g-109. 109262514**
თარიღი:**08/09/2026**

დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ქონების (ფართი) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122-ე მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის და დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის 2026 წლის 17 აგვისტოს N108-1082622965 წერილის საფუძველზე, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. მიეცეს თანხმობა დმანისის მუნიციპალიტეტის მერს, გადასცეს უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, დმანისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. დმანისში წმინდა ნინოს ქ. N41-ში მდებარე შენობის (ს.კ 82.01.42.021) პირველ სართულზე არსებული ორი ოთახი 37,23 კვ.მ, 2 (ორი) წლის ვადით ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სამინისტროს“.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბოლნისი, სულხან-საბას ქ. N113).

პაატა ყულიაშვილი

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი